საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

სამუშაო შეხვედრა

შეხვედრის ოქმი #3

ქ. თბილისი **08.10.2024**

2024 წლის 8 ოქტომბერს, Zoom პლატფორმის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები (იხ. დანართი 1).

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა - ლაშა ზივზივაძემ გახსნა. მან აღნიშნა, რომ სხდომის შემჭიდროებულ ვადებში ჩანიშვნა გამოწვეული იყო ცენტრის მენეჯმენტში არსებული ცვლილებებით.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანების მეოთხე მუხლის 3[1] პუნქტის შესაბამისად, „ცენტრის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის დაკისრების მიზნით, მინისტრი, საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ცენტრის დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს“ აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ, რუსუდან სანაძემ, ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე წარადგინა, ლაშა მარგიშვილის კანდიდატურა.

კითხვა-პასუხის სესიაზე ჰელი მატისენი დაინტერესდა, თუ რით არის განპირობებული საკოორდინაციო საბჭოს მიერ ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის აუცილებლობა და არის თუ არა საკოორდინაციო საბჭოსთან კანდიდატის შეთანხმება სავალდებულო ხასიათის, თუ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს შეუძლია არ დაეთანხმოს ან შეცვალოს საბჭოს გადაწყვეტილება.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრის დებულების შესაბამისად, დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე, შესაბამისად დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში საკოორდინაციო საბჭოსთან ხდება ორივე კანდიდატურის წარდგენა და საკოორდინაციო საბჭოს შეუძლია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. რაც შეეხება მეორე კითხვას, დირექტორის მოვალეობის შესრულების შემთხევაში საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილება არის საბოლოო, ხოლო ცენტრის დირექტორის დანიშვნა განხორციელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის წარდგინების საფუძველზე. დირექტორის კანდიდატი კი შეირჩევა ღია, გამჭვირვალე, საჯარო კონკურსის საფუძველზე, რომლის შერჩევის პროცესში მონაწილეობენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ლაშა მარგიშვილის კანდიდატურას.

მომხრე 10

მოწინააღმდეგე 0

ამის შემდეგ, იურიდიული სამსახურის უფროსმა, ქეთევან კობახიძემ წარადგინა საკოორდინაციო საბჭოს შერჩევის წესი და საკოორდინაციო საბჭოს წევრების უკუკავშირის შედეგად აღნიშნული წესი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით.

ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსმა ქეთევან კობახიძემ წარადგინა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელიც განსაზღვრავდა საკოორდინაციო საბჭოს არჩევის წესს.

ქეთევან კობახიძემ აღნიშნა, რომ პროექტი განმარტებით ბარათთან ერთად საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გადაეგზავნათ რამდენიმე დღით ადრე და მათგან წერილობითი უკუკავშირიც იქნა მიღებული. ერთიანობაში პროექტი იქნა მოწონებული, ხოლო გარკვეული მოსაზრებები და წინადადებები საბჭოს წევრი უცხოელი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ უცხოელი ექსპერტების/სპეციალისტების შერჩევასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრებები 5^1-ე მუხლის 4^1-ე პუნქტის ბოლო წინადადებასთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო ექსპერტის/სპეციალისტის შერჩევას ცენტრის დირექტორის მიერ. გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, უმჯობესი იყო მითითებულიყო, რომ ცენტრის დირექტორი ექსპერტის/სპეციალისტის კანდიდატურას შეარჩევს ENQA-სთან და იმ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელშიც არის გაწევრიანებული ცენტრი, ისე რომ არ იყოს ამ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რათა ცენტრის ახალ ორგანიზაციებში გაწევრიანების შემთხვევაში, მათაც ქონდეთ კანდიდატის შერჩევის პროცესში ჩართულობის საშუალება.

მიღებული უკუკავშირების შედეგად, ზემოაღნიშნული ნაწილი სხდომაზე დაკორექტირდა და კენჭი ეყარა პროექტის საბოლოო რედაქციას.

რუსუდან სანაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკოორდინაციო საბჭოს შერჩევის წესის პროექტი.

მომხრე 10

მოწინააღმდეგე 0

აღნიშნულ სხდომაზე განხილულ იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების პოლიტიკის მკვლევარის წერილი, სადაც ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე ეტაპზე, პორტალზე ფიქსირდება ხარვეზი, ხარვეზი განპირობებულია ცენტრის მიერ ატვირთული დოკუმენტების დიდი რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საბჭოს ოქმი და გადაწყვეტილება გაზიარებული ქონდა

განსაზღვრულ ვადებში. ცენტრი მუშაობს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიმართულებით. თუმცა, სანამ ხარვეზი იქნება გამოსწორებული, ცენტრი ძველი მეთოდით ახდენს ინფორმაციის ასახვას. ასევე, განხილულ იქნა მომავალში შესაძლო ხარვეზის აღმოფხვრის რისკები და მიტიგაციის მექანიზმები. შესაბამის სამსახურებს მიეცათ დავალებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

ასევე ილიას უნივერისტეტის საკითხზე. ამ ეტაპზე, საკოორდინაციო საბჭომ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი არ იყო აღნიშნული საკითხის განხილვა შინაარსობრივად, იქედან გამოდინარე, რომ ამ ეტაპზე ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ოქმი და გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული, რომელიც უკავშირდება შესაბამის ვადებში დოკუმენტების მომზადებას და გასაჯაროებას. ამასთან, შეხვედრაზე აღინიშნა, ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, იმ სააპელაციო პროცედურების შესახებ, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს უნივერისტეტმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

შეხვედრის დასასრულს, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს ლაშა მარგიშვილს.

საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:

რუსუდან სანაძე

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი:

თათია უბერი

დანართი 1:

სახელი, გვარი	პოზიცია
რუსუდან სანაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი
კაი ეტზოლდი	უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი
ჰელი მატისენი	ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (HAKA) დირექტორი
თამარ თოლორაია	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი
რუსუდან რუხაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
თათია უბერი	საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი
ირმა ქურდაძე	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
მაია შუხოშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი
ნათია ჯოჯუა	შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
თეა გულუა	გაეროს განვითარების პროგრამის შვეიცარული აგრარული კოლეჯი კავკასია, პროექტის ექსპერტი